საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

პარასკევი, 14 ნოემბერი 1919 წ. № 201

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ამაყვნა

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული **უნდა** იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ **წერილებს** რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კ ა ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. **3** თვით **150 მ. განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2 მ.** უკანასკნელზე **1 მ. 50 კ.** ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ოდად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა **50 მ., 12** საათის შემდეგ **70 მ.**

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საჯარო ვაჭრობა

ქუთაისის **საშაზრო** ერობის **გამგეობა** ამით აცხადებს, **რომ** ხონის რკინის **გზის** საჭიროებისათვის **უნდა** იქნას აგებული ხუთი ხიდი:

1. მდინარე ოდოზე.
2. მდინარე წყალტუპოზე.
3. მდინარე—გუბის წყალზე.
4. **მდინარე** ზემო კუხზე **და**
5. მდინარე შუა კუხზე.

და ამის **გამო** ერობის **კანცელარიაში** 15 **ნოემბერს,** შაბათს 1 ლ ააათზე **დანიშნულია.**

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

შემდეგ პირობებში:

1. ხიდის ბურჯებისათვის ბალავრების ამოღება ათ საჟენზე მიწის **გადაყრით** ერთი კუბიკური საჟენი—300 **მანეთი** და ოც საჟენზე მიწის **გადაყრით** კი 400 **მანეთი.**

2. ბალავრის ამოღება **წყლის** ამოსხმით ერთი კუბიკური საჟენი 700 **მანეთი.**

3. ბეტონის ბურჯების ამოყვანა **ერობის** ცემენტით, **რომელიც** მიეცემა ქუთაისში ერთი **კუბიკური** საჟენი - 4000 **მანეთი.**

4. ხიდის ზედა პირი თავის მასალით ზომით 4 6 ვერშოკამდე, საქმეში **გასამარტებული,** ერთი **საჟენი** 200 **მანეთი**

5. ასეთივე **მასალით** ბოძების ჩასმა ერთი **საჟენი** 250 **მანეთი**

შენიშვნა: უკანასკნელი მე 4-და 5 **მუხლში** შედის **საჭიროა** რკინის ნაწილებიც.

განცხადება შემოტანილ **უნდა** იქნეს **არა** უგვიანეს პარასკევისა, ამა 14 **ნოემბრისა,** ერობის **კანცელარიაში** ხონის **რკინის** გზ. **საკონტროლო** კომისიის **მდივანთან** **მიხ. ბოკერიასთან** **დახურულ** **კონვერტში** **და** **გარკვეულად** **აღნიშნული** **თუ** **რა** **ფასებში** **შეუძლია** **მიიღოს** **ზემოხსენებულ** **სამუშაოები.**

ყოველგვარი ცნობისათვის საჭიროა **მიმართონ** ხონის **რკინის** გზის **საალმშენებლო** **სამმართველოში** ინჟენერ **კარპოვს** (**რუბანის** ქუჩა, **სახლი** **გაბილაიისი**).

3—3. **გამგეობა.**

კვირას 16 ნოემბერს ნაშუადღევის 5 საათზე

გაბრიელის **სახელობის** **ქალთა** **გიმნაზიაში** **დანიშნულია** **ამავე** **გიმნაზიაში**

მოსწავლეთა მშობლების კრება

მშობელთა **წრის** **დასაარსებლათ.** **ეს** **კრება** **არის**

ᲕᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲝᲜᲔᲚᲘ,

ამიტომ **ყველა** **მშობლებს** **ვსთხოვთ** **უსათუოდ** **დაესწრონ.**

2—1 **გიმნაზიის** **დირექტორი** **ტრ. ჯაფარიძე.**

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, **რომ** **კვირას** **16** **ნოემბერს** **დილით** **10** **საათზე** **ბაგრატის** **ტაძრის** **გვერდით** **არსებულ** **ყოფილ** **საკათედრო** **ტაძარში** **შესრულდება** **წირვა** **და** **პანაშვიდი** **განსვენებულის** **ამა** **საზოგადოების** **საპატიო** **წევრის** **ცნობილი** **საზოგადო** **მოღვაწის**

კირილე ბექანის ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებიდან **ნახევარი** **წლის** **შესრულების** **გამო.**

2—1

მწუხარებასა **შინა** **მყოფნი:** ანდიფო ივანეს ასული **მელაშვილისა,** ასულნი: ყოლია ბურჯანაძისა, **მარუსია,** ლიუდია **და** გოგუცა, **დედა** **სოფიო** **იესეს** **ასული,** **ძმები:** **ბესარიონ,** **სიმონ,** **ბეგლარ,** **კონსტანტინე,** **ასლან** **და** **ვლადიმერ,** **რძლები:** **მარიამ,** **ეფროსინე,** **ოლღა,** **ნინა,** **მარუსია** **და** **ლიდა** **მელაშვილები,** **სიძე:** **კაპიტონ** **კონსტანტინეს** **ძე** **ბურჯანაძე,** **გულითადი** **მწუხარებით** **აუწყებენ** **ნათესავთა** **და** **ნაცნობთა,** **რომ** **შემდეგ** **ხანგრძლივი** **ავათმყოფობისა** **გარდაიცვალა** **პირველის** **მეუღლე,** **მეოთხეს** **მამა,** **მესამეს** **შვილი,** **მეოთხენის** **ძმა,** **მეხუთენის** **მაზლი** **და** **მეექვსეს** **სიმამრი**

ერმინე ოქროპირის ძე მელაშვილი

რომლის **დაკრძალვა** **მოხდება** **15** **ამა** **ნოემბერს** (**ახალი** **სტილით**) **დღით** **შაბათს** **სოფელ** **ობჩაში,** **უმორჩილესად** **გთხოვენ** **ნათესავთა** **მობრძანდეთ** **დანიშნულ** **დღეს** **და** **ანუგეშოთ** **ჭირისუფალი** **გარდაცვალებულისა.** **2—1**

თავისუფალი სელოვანი, რომელმაც დაამთავრა ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ

პროფესორ **კუსკოვის**—**სტანისლავსკის** **ხელმძღვანელობით,** **აძლევს** **მუსიკის** (**როიალზე**) **გაკვეთილებს.**

მისამართი: **ბაღის** **ქუჩა** **სახლი** **მესროპოვისა** **ნაკაშიძე.**

5—2

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ.

ბოლშევიკები—საქართველოს **და-**
მოუკიდებლობის **მტრები** **არიან,**
არიან **გულწრფელი** **ბოლშევიკები,**
რომელნიც **ფიქრობენ,** **მსოფლიოში** **სოციალიზმის** **განხორციელების** **ჟამი** **მოახლოებულია** **და** **ლამობენ** **საქართველოც** **ჩაითრიონ** **ამ** **საყოველთაო** **მოძრაობაში.**

ისინი—**მოტყუებული** **არიან.** **საკვირველია** **სწორეთ!** **ქართველი** **საკუთარი** **ჭკუით** **აღარ** **მოქმედობს,** **სხვისი** **აზრის** **ამყოლი** **გამხდარა!**

თვარა **ბოლშევიკური** **მოძრაობა** **საქართველოში** **მიზან** **შესაბამად** **გიჟს** **თუ** **მოგჩვენება!**

ჩვენში **მოქმედი** **უცხო** **ბოლშევიკები** **კი**—**რუსები,** **სომხები,** **ოსები**—

დღიური

ამერიკის ცნობებით საზავო კონფერენცია თავის საქმეებს დაასრულებს არა უგვიანეს 1 იანვრისა. ამერიკის დელეგაცია დაბრუნდება შინ და მოკავშირეთა შორის შუამავლის როლს თავს დაანებებს.

ამერიკის მთავრობამ ბრძანება გასცა დააპატიმრონ და ამერიკიდან გააძევონ 200 ბოლშევიკი.

შვეიცარიაში რევოლიუციის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ნოსკეს ბრძანებით ბერლინში ჯარისკაცთა რაზმმა დამოუკიდებელთა შტაბი-ბანაკი დაიჭირა.

პრაგაში სოციალისტების დევნის გამო მუშათა დემონსტრაციები იმართება.

მოხალისეებმა დაიკავეს სად. ტალოვაია, ზევითა ტიხონკა და სოფ. მოხალსკოე.

ბოლშევიკებმა დასტოვეს ურიუპინსი.

არა-გულწრფელნი, მათ ამოქმედებს მხოლოდ საქართველოსდა მტრობა და შურისძიების გრძნობა.

მათ ტორის ზოგიერთი ყოფილი სოციალისტია, ზოგი—დენიკინელი სოციალიზმის ნიღაბით!

ყველა ჩვენი მტერი შეერთდა და შეუკავშირდა გულუბრყვილო ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს სახელმწიფოს დასამხობად.

და, ისინი რომ საქართველოში ფულს აბნევენ, ამ ფულის დიდ ნაწილს, უეჭველია, დენიკინი იძლევა.

უნდათ ჩვენში ბოლშევიკური არეულობა გამოიწვიონ, რომ ევროპამ საქართველო ბოლშევიკურ ქვეყნად გამოაცხადოს და დენიკინი შემოგვისიოს.

მხოლოდ ეს არის მათი მიზანი.

საქართველოში მთავრობა მენშევიკ-სოციალ დემოკრატების ხელშია.

ბევრს მენშევიკები და ბოლშევიკები ერთიდაიგივე ჰგონია.

მაგრამ ეს მართალი არ არის. საჭიროა განბნეულ იქნეს ბუნდოვანება ამ საკითხში.

მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ მენშევიკები აღიარებენ საყოველთაო საარჩევნო წესით არჩეულ პარლამენტს—უზენაეს საკანონმდებლო ორგანოდ.

მენშევიკები აღიარებენ მაშასადამე კონსტიტუციასა და უარჰყოფენ ამ ხანად მაინც პროლეტარიატის დიქტატურას.

ბოლშევიკები კი უარჰყოფენ საყოველთაო არჩევნებსა და პარლამენტსა და აღიარებენ მუშათა საბჭოების, ე. ი. პროლეტარიატის, დიქტატურას.

ეს—დიდი განსხვავებაა.

მართალია მენშევიკებიც არ ახორციელებენ სავსებით საყოველთაო არჩევნებისა და პარლამენტარიზმის პრინციპებს.

მაგრამ იძულებული არიან თანდათან დასთმონ შეურიგებელი, ბოლშევიკური პოზიციები, ვინაიდან უამისოდ თავზე დაენგრევათ ის სახელმწიფოებრივი შენობა, რომლის აშენებაც თავს იდვეს.

ცხოვრება—საუკეთესო ჭკუის-მასწავლებელია.

ბოლშევიკებს კი სწადიათ ყირამალა გადაატრიალონ სოციალ-პოლიტიკური შენობა, მთლად დაანგრიონ მისი საფუძველი!

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია?

ჩვენ, როგორც საყოველთაო არჩევნებისა და პარლამენტარიზმის დამცველნი, მოვალე ვართ მენშევიკებს ბოლშევიკებთან ბრძოლაში მხარი დავუჭიროთ.

და საზოგადოდ ყოვლისავე სამოქალაქო ომის, აჯანყების, თავშივე ჩაქრობას ხელი უნდა შევუწყოთ.

მართალია, მთავრობის პოლიტიკას სავსებით არც ჩვენ ვიზიარებთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მშვიდობის ბრძოლას ვაწარმოებთ და ბრძოლაში საკონსტიტუციო ფარგალს არა ვსცილდებით.

მაშ ჩვენ, ვიდრე კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები დარღვეული არ არის, საკონსტიტუციო ბრძოლის ანუ კანონიერების ნიადაგზე ვდგევართ.

და მეტადრე იმ მმართველობას, რომლის გამარჯვებაც [illegible] ბელ სამოქალაქო ომს, გამოიწვევს მთელის ჩვენს ეროვნულ უფლებებ[illegible] ებრძოლოთ.

ნესტარი.

ბოლშევიკური მოძრაობა.

(შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან).

გასულ **24** ღვინობისთვის რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში მოწყობილი გამოსვლა რესპუბლიკის მტრებისა მთავრობის მიერ მიღებული ზომებით და ხალხის მისდამი მტრული დამოკიდებულებით სასწრაფოდ იქმნა ჩაქრობილი. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის მტრებმა ხელ ახლა სცადეს სხვა და სხვა კუთხეებში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და მით ჩვენს ქვეყანაში არევ-დარევის გამოწვევა. გიორგობისთვის 9 დილით სოფ. ახალ-ქალაქში და მეჯვრისხევში (გორის მაზრა) შეთქმულობის მონაწილეებმა დაატუსაღეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და სათემო თვითმართველობის წევრები, ხოლო სოფელ მეჯვრისხევში გარდა ამისა მილიციის ადგილობრივი უფროსი, სახალხო გვარდიისა და სამაზრო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით რამოდენიმე საათის შემდეგ მეამბოხენი შეიპყრეს და სრული წესიერება აღდგენილ იქნა. შეთქმულებაში უმთავრესი მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სამკიტნოების პატრონები, რომელნიც წინეთ დამოვიდენ.

დასასრულ, არც ჰომეროსის დროის საბერძნეთში და არც გაერთიანების დროის საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილება პიროვნების თავისუფლების შემბორკველი არა ყოფილა.

მაშინდელი საბერძნეთი—დამოუკიდებელი თემების კავშირს წარმოადგენდა.

თითქმის ასეთივე იყო ხსენებული დროის საქართველოც.

მართალია, მეფობა, როგორც გამაერთიანებელი, შემკრებელი ძალა, თანდათან იკრებდა ძალას.

მაგრამ თვითეული კუთხე მაინც ავტონომიური იყო.

ამგვარად ქართული ეპოსი შემდეგმა მიზეზებმა წარმოშვეს:

1) ქართველი ერი აწარმოებდა ხანგრძლივს ეროვნულ ბრძოლას, რომლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა;

2) საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება პიროვნების დამჩაგვრელი და დამმონებელი არ იყო.

3) იმავე დროს ქართულ ეპოსს ხანგრძლივი ლიტერატურული ევოლიუცია უძღოდა წინ.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ვეფხვის ტყაოსნის იდეა და ფორმა.

(დასასრული. იხილე „ჩვენი ქვეყანა“ № 200).

როდესაც ნესტან-დარეჯანი შემოხვევით ფატმანს ჩაუვარდა ხელში, ვერავითარი საშუალებით ვერ გასტეხეს და ვერა ათქმევინეს-რა მისი თავგადასავალის. აი როგორ უამბობს ფატმანი ავთანილს ამ ამბავს:

„რაცა ვკითხეთ, არა ვიცით,
ესმა, ანუ არ ისმენდა:
ვარდი ერთგან შეეწება,
მარგალიტსა არ აჩენდა“...

„ვერა დავყარეთ პასუხი
ჩვენ საუბრითა ჩვენითა,
ვეფხი ავაზა პირ-მქუშად
ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა.
კვლაცა ვაწყინეთ, ატირდა
მჩქეფრად ცრემლისა დენითა.
და „არა ვიცი, მიმიშვით!“
ესოდენ გვითხრა ენითა“.

შემდეგ, როდესაც მეფემ თავის სასახლეში წაიყვანა, შემოსა და საცოლოდ მოუმზადა შვილს, ნესტანმა აი რა უთხრა მცველ ქალებს:

„ისმინეთ, მოდით ცნობასა!
მოლორგებულხართ, დამცდარ-ხართ
თქვენ ჩემსა პატრონობასა.
დამცდარა თქვენი პატრონი,
ჩემსა თუ ჭლაშის სძლობასა,
და ჩემთვის ბუკს და ტაბლაკსა
ცუდად გლახ იცემს ნობასა“.

„უცილოდ თავსა მოვიკლავ,
გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგხოცსთ თქვენი პატრონი,
სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა:
ესე სჯობს, მოგცე საჭურჭლე,
მძიმე მარტყია ტანასა,
და მე გამაპარეთ, გამიშვით,
თვარემ დაიწყებთ ნანასა!“

ნესტანმა ხადუმთა მოსყიდვით თავს უშველა, მაგრამ უარეს ყოფაში ჩავარდა: ქაჯებმა მოიტაცეს და მიუვალ ციხეში დაამწყვდიეს. და აი რასა სწერს ქაჯეთიდან ტარიელს:

„შენმა მზემან, უშენოსა
არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმა მზემან ვერვის მიხვდეს,
მოცავიდენ სამნი მზენი;
აქა თავსა გარდავიქცევ,
ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი;
და სული ჩემი შეივედრენ,
ზეცით მოიხვდენ ნუ თუ ფრთენი!“

ასეთი იყო მაშინდელი ქართველი ქალი. ასეთივე იყო ქართველი ქალი შემდეგაც, როგორც ამას ქეთევან წამებულისა და ბევრის სხვის გმირული თავდადება მოწმობს.

მაშასადამე თავისუფალმა ცხოვრებამ, არაუკიდურესმა სახელმწიფოებრიობამ, შექმნა თავისუფალი პიროვნება, ინდივიდუალობა.

ამიტომ „ვეფხის ტყაოსნის“ თვითეული გმირის მოქმედებაში არა არის-რა უცნაური, ზეკაცური, ზღაპრული, ფანტასტიური.

მართალია, „ვეფხის ტყაოსანშიაც არის ზოგიერთი ჰიპერბოლა, გადაჭარბებული, ზეკაცური, მაგრამ ეს ჰიპერბოლები—აღმოსავლეთური პოეზიის ანარეკლი—„ვეფხის ტყაოსნის“ არცერთის მოკვდავი გმირის კაცურ მოქმედებას არ შეესაბამებიან და მათი გამოკლებით პოემას სრულიადაც არა დააკლდებოდა-რა.

და იმისდა მიუხედავად, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ გარეგნული მხრით აღმოსავლეთური პოეზიის ანარეკლს მოგვაგონებს, შინაგანი თვისებით ძველი საბერძნეთის ეპიკურ ნაწარმოებს—ილიადასა და ოდისეას—უფრო ენათესავება.

რას მივაწეროთ ეს ნათესაობა?

ჰომეროსის დროს ბერძენთა თემებს დიდი, სახალხო ბრძოლა ჰქონდათ უცხო ტომებთან.

ამ ბრძოლამ გასწრთვნა და აღზარდა ძველ ელლინთა გმირობა. ამ ნიადაგზედვე წარმოიშვა ჰომეროსის ეპოსი.

სწორეთ ამგვარივე ბრძოლა ჰქონდათ ქართველებს გარემომცველ ტომებთან გაერთიანების ხანაში.

ამ დიდმა ეროვნულმა ბრძოლამ წარმოშვა ქართველის რაინდობა, მამაცობა და გმირობა.

ამასვე შეუწყო ხელი იმანაც, რომ ამ სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლიდან, როგორც ძველი ბერძნები ხმელთაშუა ზღვაზე, აგრეთვე ქართველები საქართველოში, გამარჯვებულნი გამოვიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნაკციუტუნის პარტიის წევრებად ითვლებოდენ, გარდა ამისა ადგილობრივ ქურდ-ბაცაცები. დაპატიმრებულნი რიცხვით 40 კაცი, სასამართლოს გადასცეს. ქ. ლანჩხუთში „გორგობ. 9 ს დილის 3 საათზე ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ყველა ადგილობრივი საზოგადოებრივი და მთავრობის დაწესებულებები, დაწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები და დაატუსაღეს ქალაქის საბჭოს ხმოსანი წილოსანი. ადგილობრივმა სახალხო გვარდიის შტაბმა მიიღო სასწრაფო ზომები და რამდენიმე საათის შემდეგ მეამბოხენი რიცხვით ასი კაცი, შეიპყრო. შეტაკებებისას მოკლულ იქმნა ერთი გვარდიელი. მეამბოხეთა. დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ გურიის სხვა რაიონებიდან გამოწვეული ბნელი პირები უმთავრესად ყაჩაღები და ქურდ-ბაცაცები. იმავე დილის 5 საათზე ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს სოფ. სუფსა და დაეპატრონენ ადგილობრივ დაწესებულებებს. იმავე დღესვე ჯავშნიანმა მატარებლებმა ადგილობრივ გვარდიის და მილიციის დახმარებით აღადგინა სრული წესიერება და შეიპყრო 40 კაცი. შეტაკებისას მოკლულ იქმნა სამი გვარდიელი.

ნოემბრის 9 ს ბრბომ ხელთ იგდო ჩოხატაური, გამოაცხადა იქ საბჭოთა მთავრობა და დაატუსაღა სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ჩიგოგიძე. მეამბოხეთ ხელმძღვანელობდენ ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე, ინგლისელი ექიმის მკვლელი და აგრეთვე ცნობილი ყაჩაღი-ანტაქისტი გიორგი ძნელაძე. შეპყრობილია მრავალი მძარცველი. მფელს გურიაში ხალხმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო შეთქმულებათა ბრბოს წინააღმდეგ მოქმედებაში. ყველგან სრული წესიერება აღდგენილია: ამბოხების ყველა მონაწილენი გადაეცემიან განსაკუთრებულ სასამართლოს აღგილობრივ გასასამართლებლად.

ბოლშევიკების საქმეთა გამოძიება.

იუსტიციის სამინისტროს წინადადებით, უკანასკნელ დღეებში საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მომხდარ ბოლშევიკურ აჯანყების საქმის გამოძიების დასაჩქარებლად მიღებულია საგანგებო ზომები ხსენებულ საქმეების გამოძიება გადაეცემა არა უბნის გამომძიებლებს, რომელიც დატვირთულნი არიან თავის ჩვეულებრივ საქმიანობით, არამედ ოლქის სასამართლოს რამოდენიმე წევრს, რომელნიც განთავისუფლებულნი იქნებიან თავისის პირდაპირის მოვალეობის აღსრულებისაგან და მთელს დროს მოანდომებენ კომუნისტების საქმეების გამოძიებას სხვა და სხვა რაიონებში, სათანადო მიწერილობა უკვე გაეგზავნა თბილისის სასამართლოს და (დეპეშით) ქუთაისისას. სოხუმის ოლქში ბოლშევიკების საქმის გიმოძიებას აწარმოებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. ხსენებულ საქმეების გამოძიების თვალყურის დევნა პირადად დაევალა სასამართლო პალატის ახალ დანიშნულ პროკურორს მ. ა. ტატიშვილს. ამასთანავე იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო გამომძიებლების განკარგულებაში საგანგებო რაზმის რამდენიმე გამოცდილ თანამშრომლის გაგზავნა, ხოლო სახალხო გვარდიის მთ. შტაბს - ადგილობრივ შტაბებისთვის მიწერა, რომ გამომძიებლებს ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოთ. სამინისტრომ აგრეთვე სასწრაფო შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ათ მილიონიან ფონდიდან 50,000 მანეთის გადადების შესახებ ბოლშევიკების საქმის გამოძიების გამოწვეულ საგანგებო ხარჯების დასაფარავად.

ბრძოლა ანარქიასთან.

იმ კანონპროექტის გარდა, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ № ში იყო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეკრეტი შეიტანა დამფუძნებელ კრებაში გუშინ.

(შემოტანილია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ).

1) დროებით, ანარქიასთან საბრძოლველად, განხილვა ყველა იმ მძიმე ბოროტმოქმედებათა, რომლებიც ჩამოთვლილია საქ. პარლამენტის 1918 წლის ივლისის 5-ის კანონში, გარდა აღნიშნულისა მე-4 ს პუნქტში (კან კრებ. 1918 წ. № 6) მიენდოს სამხედრო საგანგებო სასამართლოს.

2) დამნაშავეთა სამხედრო საგანგებო სამართალში წინა მუხლში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედობისათვის მიცემის უფლება მიენიჭოს ბრიგადის და გარნიზონის-უფროსებს და აგრეთვე როგორც ჯარის, ისე სახალხო გვარდიის ცალკე რაზმების უფროსებს.

3) სამხედრო საგნგებო სასამართლოები მოეწყობა იმ წესების თანახმად, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართ. რესპუბლიკის მთავრობის (სამხედრო უწვების) ბრძანებაში 23 დეკემბრის 1918 წელს და 177 ით იმ პირობით, რომ ამ სასამართლოებში საქმები განხილულ იქნეს ძალიან სწრაფად.

4) ამ დეკრეტით შემოღებულ წესით გასამართლდეს პირველ მუხლში აღნიშნული ბოროტ-მოქმედებანი, ჩადენილი 1918 წლის ოქტომბრის 20-დან.

5) ამ დეკრეტის პირველ მუხლში ნახსენებ საქმეების რესპუბლიკის დროებითი საგლეხო სასამართლოების მიერ განხილვის უფლება (კან კრებ. 1918 წ., ღ.), გაუქმდეს.

6) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელ კრების მიერ.

(საქარ).

გოლშევიკური ცნობები.

ლიონი. სამხედრო მინისტრის ნოსკეს ბრძანებით ბერლინში ჯარის კაცების ნაწილებმა დაიკავეს დამოუკიდებლების შტაბი, რომელშიც აღმოჩნდა მრავალი „ბროშურები“ რომლებიდანაც სჩანს რომ დამოუკიდებლები კომუნისტებთან ერთად ეწეოდენ პროპაგანდას გაფიცვების სასარგებოთ. ამის გამო შეიპყრეს 16 კაცი.

ნაუენი. ვენაში უკრაინელებმა მიტინგები გამართეს რომლებმაც პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

სამარა. რადგანაც იაპონიასა ამერიკის შორის დამოუკიდებულება მწვავდება, ამერიკამ მთელი ფლოტი სამხედრო მოქმედების ქვეშ გამოაცხადა

ნაუენი. სერბებსა და კროატებს შორის ბრძოლა სწარმოებს.

ნაუენი. ბრიუსელის გაზეთი „ლე პეპლ“ი დენიკინის შეტევის შესახებ შემდეგს სწერს: „რომ დენიკინმა შესძლოს მოსკოვში შესვლა და პროლეტარიატის დიქტატურის მაგიერ დააწესოს თეთრ გვარდიელებს ტირანია, განა ამით შეიძლება აღდგენილ იქნეს ძველი მეფური რუსეთი?

სად არის ის ძალები რომელზედაც დენიკინს შეეძლოს დაეყრდნოს“.

უცხოეთი

ინგლისი.

არმიის დემობილიზაცია.

ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობით ინგლისში 142389 ოფიცრებისა და 3,238601 ჯარის კაცის დემობილიზაცია მოხდა.

ინგლისის ექსპორტი და იმპორტი.

ბრიტანეთის ვაჭრობა-მრეწ. სამინისტროს ცნობით ინგლისის ექსპორტ იმპორტი 1918 წ. შემდეგის რაოდენობით ხდებოდა: იმპორტი 97,995,688 გირ. სტერლინგით, ექსპორტი 40,152,193 გ. სტ 1919 წ სექტემბერს იმპორტი 148,675,074 გ. სტ. ექსპორტი 66,580,395 გ. სტ

გაფიცვები ინგლისში.

ოფიციალი წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისში გაფიცვები შესწყდა. რკინის გზაზე ყველგან მიმოსვლაა.

ამერიკა.

ბოლშევიკები ამერიკაში.

(ფრანგული პრესა).

ამერიკის მთავრობამ ბრძანება გასცა დაეპატიმრონ და ამერიკიდან გააძეონ 200 ბოლშევიკი.

ბულგარეთი.

(საქართ. დეპ. სააგენტო).

ლიონი. ნოემბ. 8 სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის მთავრობამ დააპატიმრა რადოსლავოვის პარტიის თვალსაჩინო წევრები. მთავრობის გაზეთების განცხადებით, ეს ზომა დამოკიდებულია სასამართლოს გამოძიებაზე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალდებათ ბულგარეთის ომში ჩათრევა, დაპატიმრებულთა შორის არის ტონჩევი, ფინანსთა ყოფილი მინისტრი, გენერალი პეტროვი, რადოსლავოვის მთავრობის წევრების უმეტესობა და დეპუტატები, რომლებიც რადოსლავოვის პარტიას ეკუთვნიან. ბულგარეთის მთავრობამ გადადგა აგრეთვე, ნაბეჭდი, რომ მეზობელი სახელმწიფოებიდან ლოს გასცენ ყოფილი მეფე ფერდინანდი, რადოსლავოვი და ზოგიერთი გენერლები.

აზერბეიჯანი

აფიცრების გაწვევა.

მოხალისეთა ტერიტორიის გარედ მყოფ აფიცრების გაწვევის შესახებ დენიკინის განკარგულების ვადა უკვე გათავდა. ვინც დღემდე არ გამოცხადა ის დეზერტირად ითვლება. ბაქოში გასაწვევი აღარავინ არის.

(გაზ. „აზერბ“.)

ბოლშევიკები ბაქოში.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ სასტიკ ზომების შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ,—იქიდან გამოქცეული ბოლშევიკები ბაქოში თავს იყრიან.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

საბჭოს სხდომა. ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა შესდგება 18 ნოემბერს დღით სამშაბათს.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ქუთაისის ქალაქის საბჭოს ფინანსიური საბიუჯეტო კომისსია უკვე შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. კომისსია მუშაობას დაამთავრებს ერთი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ ქალაქის შემოსავალ-გასავალის ბიუჯეტი დასამტკიცებლათ ქალაქის საბჭოს წარედგინება.

კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა. ხვალ ქუთაისში დაიწყება რაჭის, ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრის ყველა კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა. ამ ყრილობაზე საძირკველი ჩაეყრება ზემო-აღნიშნულ მაზრების კოოპერატივების კავშირს. ამ ყრილობაზე დამტკიცებულ იქნება კავშირის წესდება და არჩეული იქნება გამგეობა, სარევიზიო კომისსია და ზედამხედველი კომიტეტი.

ქალაქისათვის წყალი რადგან ქუთაისში წყლის საკითხი ძლიერ გამწვავდა და მეტის მეტათ გაძვირდა წყალი, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ქალაქთა კავშირს რომ დაუთმოს, ერთი ელექტრო მატორი, რომ ამ საშუალებით ციხეში მაინც მიაწოდონ წყალი.

გაზ. „საქართველოს“ დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზ. „საქართველო“ დაიხურა. გაზ. „საქართველოს“ ყოფილ რედაქციასთან შეთანხმებით დახურულ გაზეთის ხელის მომწერლებს დააკმაყოფილებს გაზეთი „ივერია“

ღია წერილი

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის ხმოსნებს და გამგეობას.

შარშანდელმა სხვა და სხვა გადამდებმა სენმა დიდს განსაცდელში ჩააყენა მთელი ქვეყანა და მათ შორის ჩვენი პატარა რესპუბლიკა. ამ დიდი ომის შემდეგ დაქანცულმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშეულმა და ნერვებ აშლილმა ხალხმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამ უბედურებას და მრავალი მას მსხვერპლათაც შეეწირა. ჩვენ მთავრობას ბევრი სახიფათო საქმეები ჰქონდა მოსაწესრიგებელი და ხალხის ჯანმრთელობაზე იმდენი ვერ იზრუნა, რომ ამ ყოველივე მხრით დატანჯულ ხალხისათვის აეცილებია ეს უბედურობა. იმ ხანაში ერთად ერთი საუკეთესო დაწესებულება, როგორიც არის ერობა, სრულიად მოუწყობელი იყო და მას არ შეეძლო ამ უბედურებასთან ბრძოლა. ღღეს კი საქმე სულ სხვანაირათ არის დაყენებული და იმედია, ახლა ერობა იმდენად მოეწყო, რომ ის საკმარისად შესძლებს ყოველგვარ გადამდებ სენთან ბრძოლას და ჩვენი პატარა ერი აღარ ჩავარდება იმ გვარ უმწეო მდგომარეობაში, რომელშიდაც წარსულ ეპიდემიის დროს იმყოფებოდა.

მაშასადამე დაგვრჩა ქალაქი, რომელზედაც ჩვენ უნდა ვიზრუნოთ რომ შარშანდელი ეპიდემია არ გახშირდეს. ამ გარემოებამ გამოიწვია ის სანიტარული გადასახადი, რომელიც ყოველმა მოქალაქემ უნდა სიამოვნებით გადიხადოს და მით აიცილოს თავიდგან მომავალი უბედურება. ეს გადასახადი დიდ ძალია: როგორც გამოირკვა ქუთაისმა უნდა გადიხადოს 9 მილიონამდის. კარგი და პატიოსანი, ჩვენ მოქალაქენი მზათ ვართ ეს ფული შევიტანოთ ქალაქის სალაროში, მაგრამ კარგად უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რას მოხმარდება ეს ფული? ქალაქს ბევრგვარი მოთხოვნილება აქვს და ფულიც ძალიან ეჭვირება, მაგრამ მისი დახარჯვა მიმდინარე ქალაქის საქმეებზე იქნება დიდი დანაშაულობა. ამ მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს ჰქონდა რამდენიმე სხდომა, რომელმაც სანიტარული გადასახადები გაანაწილა სხვა და სხვა დარგებზედ, და როგორც გამოირკვა მისი ჯამი უდრის 9 მილიონს, რომელიც უნდა მოხმარდეს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობას. ქალაქის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს დახლოებითი გეგმა რომელშიდაც მოხსენებულია დაწვრილებით, თუ რა უნდა მოაწყოს იმან ამ ფულით. აი, სწორეთ ამაზედ მინდა მოკლედ მოგახსენოთ ჩემი პირადი შეხედულება თქვენდა საყურადღებოთ ბ-ნნო ქალაქის მამებო.

ოცდა თუთხმეტი წელი გამოუცვლელად გახლავარ ხმოსნათ და ქალაქის საქმეებს კარგად გაცნობილი და ამაზედ მინდა დავამყარო ჩემი შეხედულება, რომ თქვენ ხელმეორეთ გადახედოთ თქვენ—გეგმას და ამ დიდი გაჭირვებით გადახდილი ფული მოახმაროთ იმასთანა რამეს, რაც მართლა შეადგენს უპირველეს მოთხოვნილებას მცხოვრებლებისას, და რაც მართლა იქნება ნამდვილი სანიტარული ზომა ქალაქის გაჯანმთელებისა და არა იმ ფანტასტიურ ზომებს, რომელიც თქვენ გიგულისხმებიათ. ჯერ კიდევაც რომ მოაწყოთ ის მშვენიერი ნაგავის დასაწვავი ქურები, რომლის სითბოთი თქვენ გინდათ აამოძრაოთ ის აბანოები, რომლებსაც აპირებთ ახლა ააშენოთ, ან „აბოზები, რომელთაც თქვენს ხელში დიდი ღღე არ ექნება და ბევრი ამ გვარი ზომები, ყოველად შეუწყნარებელია ჩემი შეხედულებით.

ბატონებო, ამ დიდი გაჭირვებით შეკრებილი ფული გაგეფლანგებათ, და რასაც მოაწყობთ იმის შენახვასაც ვერ შეეძლებთ, ვინაიდან ქალაქის მეურნეობის კარგ ნიადაგზე დაყენება მეტის მეტად ძნელია.

ფულის შეკრება კი შეგიძლიათ ყოველივის ამ ფართო მაშტაბით. ერთად ერთი შემთხვევა მოგეცათ, როდესაც კანონიერად შემოვა 9 მილიონამდე და ახლა მაინც გამოიჩინეთ ინიციატივა ნამდვილი საქმიანობისა და ნუ იკისრებთ ამ ფულის უნიადაგო და უმნიშვნელო საქმეებისთვის დახარჯვას, თუ თქვენ წარმოდგენილი გეგმის განხორციელებას შეუდექით, იცოდეთ, რომ ყოველივე ნდობას დაკარგავთ მცხოვრებლების თვალში.

თუ იკადრებთ და მიიღებთ ჩემს რჩევას, მოგახსენებთ მოკლედ: ქალაქის დღევანდელი სანიტარული მდგომარეობა მოითხოვს, რომ თქვენ ეს ფული მოახმაროთ წყალსადენს. ამდენი ფული თქვენ ერთად არაოდეს არ გექნებათ თქვენ სალაროში და საქმის დაწყება ამით შეგიძლიათ: მით უმეტეს, რომ წინადადებაც გაქვთ გერმანელებიდან, რომელიც ამ დღეებში უკვე მოახსენეთ საბჭოს. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ მეცნიერულად გამორკვეულია მუცლის ტიფი, ხოლერა დიზენტერია (მუცელბატონები) და ბევრი სხვა სენი უვარგისი სასმელი წყლითა ვრცელდება და დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებლებს. რაც შეეხება პარტახტიან ტიფს იმის გავრცელებაც დამოკიდებულია ტანსაცმლისა და საწოლ სახურავის სისუფთავეზე. მისი სიწმინდის შენახვა შეიძლება როდესაც წყალი ბლომად იქნები. კარგი შეძლებული მცხოვრები უნდა იყოს, რომ ეკონომია არ დაიჭიროს წყლის ხარჯვაში, მაშინ როდესაც ერთი „ბოჩკა“ ღირს 25 მანეთი და იმასაც მცხოვრებლები თავის დროზე ვერ შონილობენ

მე დარწმუნებული ვარ, რომ მცხოვრებლები ერთს იმდენს კიდევ გადიხდიან, რომ წყალსადენი აშენდებოდეს.

ოცდა ათი წელიწადია, რაც ქალაქის თვითმართებლობა წყალ სადენზედ მსჯელობს, მაგრამ ვერ განუხორციელებია თავისი სურვილი. ორჯერ კიდევ გასცენ კონცესიით, მაგრამ საქმე მაინც ვერ გაკეთდა და მე დაუმატებ: მადლობა ღმერთს, რომ არ გაკეთდა, თორემ დაღუპული ვიქნებოდით, ვინაიდგან წყალ სადენის გაკეთება უნდოდათ რიონის წყალსგან, რომელიც არის თვით სიბინძურე და გამავრცელებელი ყოველივე ზევით ნახსენები სენისა, მე პირადად ყოველთვის წუნააღმდეგი ვიყავი რიონის წყლისა და ურჩევდი, საბჭოს მოენახა ახლო მახლო საკმარისი წყაროები და დაეევალებია კონცესიონებისათვის იქედან გამოეყვანათ წყალი, მაგრამ უშედეგოთ. ახლა კი ჩვენ გვაქს ნაპოვნი ისეთი წყაროს წყალი, რომლის მსგავსი მთელ ღედა მიწის ზურგზე არ მოინახება და იმდენი, რამდენიც ქუთაისის მცხოვრებს სავსებით დააკმაყოფილებს.

მაშ რაშია საქმე? წყალი ნანახია, ხარჯთაღრიცხვა მზათ არის, თუმცა ახლა სხვა ფასებია ყველაფერზე, პლანი აღებული, ტექნიკური მხარე შემუშავებულია, გერმანიიდგან ინჟინერი კაუხრაშვილი დახმარებას ჯვიწევს ამ აკრებილ სანიტარულ ფულს, რომ კიდევაც მოემატოს ცოტა ვალი გერმანელებისა, მაინც დიდი მოგებული ვიქნებით და საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ მცხოვრებლებისათვის და იმავე დროს ეს იქნება ნამდვილი სანიტარული საქმე

ის გეგმა, რომელიც გამგეობას შეუდგენია სისრულეში მოსაყვანათ ამ აკრეფილი ფულის საშვალებით, სულ უნიადაგოა და თავის მიზანს ვერ მიაღწევს. წელიწადი თავდება და ხარჯთაღრიცხვაც არ შეუდგენიათ და არც ერთმა გამგეობის წევრმა დანამდვილებით არ იცის ღღეს, თუ რა აქვს შემოსავალი და გასავალი. ქალაქს ფული რომ დააკდებათ, სესხს მიმართავენ და, ასე აწარმოებენ ქალაქის მეურნეობას.

ქალაქის შემოსავლიდან ჩვენ წყალსადენს ვერ გავაკეთებთო, და არც უნდა დავხარჯოთ ერთი კაპეიკი ქალაქის შემოსავლიდგანო, ამ საქმისთვისო. „ჩვენ წყალსადენს კონცესიით გავცემთო“, ესე იგი ამისთანა სასარგებლო და შემოსავლიან საქმეს სხვა უცხო პირს ჩაუგდებთ ხელშიო და ჩვენ კი ვიცხოვრებთ მოულოდნელი გადასახადებით, როგორც სანიტარული „ნალოგიო“. ნუ თუ ეს არის ქალაქის თვი მართველობის მოღვაწეობა, კიდეც რომ შექმნან „აბოზები“, აბანოები, ანუ საექიმო უბნები, მოუარებენ მერმე იმათ? არა და არა!

ხმოსანი დიმ. ნაზაროვი.

რედაქციის შენიშვნა.

რედაქცია არ იზიარებს პატივცემული ექიმის აზრს.

ჯერ ერთი სანიტარია მარტო წყალსადენთ არა მოიწურება.

წყალსადენი რომ გავაკეთოთ, კანალიზაცია, რომლის საშუალებითაც საბინძურე გატანილ უნდა იქნეს ქალაქიდან, მაინც გასაკეთებელი იქნება.

წყალსადენი აუარებელ სიბინძურეს დააგროვებს ქალაქში, თუ სიბინძურის გამტანი არხები არ გავაკეთეთ. უამისოდ ქუთაისი დალპება!

და სასანიტარო თანხის ერთი [illegible] წილი [illegible] ამ [illegible] სათვის არის [illegible] მხული.

ამ [illegible] ნება: ნაგავი და ყოველივე [illegible] ძურე წვიმის დროს სრულიად [illegible] რეკება ქალაქიდან.

ნუ თუ ამას მნიშვნელობა [illegible] ნება თუნდა მუცლის ტიფის შ[illegible] რებისათვის?

მეორე: ქუთაისი რომ ფეხის[illegible] ლების ქალაქად გადაქცეულა [illegible] ქალაქის ჰაერი მდინარე და [illegible] რომ ფეხისადგილების საბინძ[illegible] გან მოწამლულია, თავისთავად [illegible] დია.

მაშ არ გავიჩინოთ სიბინ[illegible] გამტანი კასრები? რასაკვირ[illegible] უნდა გავიჩინოთ.

სასანიტარო საექიმო პერსო[illegible] გამრავლების, უფასო სამკურნ[illegible] რეორგანიზაციას, სიფილისიან[illegible] გადამდებ სენიანთათვის საავ[illegible] ფოების მოწყობის წინააღმდეგ[illegible] რა ეთქმის?!

სიფილისი მეტად გავრცელ[illegible] და გადაშენებით ემუქრება ე[illegible] ნუ თუ ამ საშინელ სენთან [illegible] ლის საკითხი უნდა გადიდოს?

პარტახტიანი სენის მოარული[illegible] საც იქნებოდა, სპეციალური [illegible] ლიაციო სამკურნალო რომ [illegible] ქონოდა.

ამბულატორია აეცილებ[illegible] ტადრე ღარიბთათვის.

სასანიტარო გადასახადი [illegible] ნებულ მოთხოვნილებათაც ძ[illegible] აკმაყოფილებს.

დასასრულ არავის არ [illegible] წყალსადენი კონცესიის წესი[illegible] გაკეთდესო. ჩვენ ვაბზობთ: [illegible] დენი, რომელსაც 30 მილიონ[illegible] დასჭირდება, სესხის საშუალებ[illegible] და გაკეთდეს.

ეს. კი სრულიადაც არ გულ[illegible] კონცესიას.

და წყალსადენი მიტომ [illegible] კეთდეს სესხის საშუალებით, [illegible] შემოსავლის წყარო იქნება [illegible] საც გაისტუმრებს და ქალაქს[illegible] მეტ მოგებას დაუტოვებს.

რედაქტ[illegible]

დაგვარგე [illegible] მოწმობა [illegible] ბეგრის [illegible] № 407 მოცემული ქუთაის[illegible] მაზრა ერობის გამგეობიდან [illegible] ბას დღეიდან გაუქმებულად ვაც[illegible] **ალექსანდრე ლეონტის ძე** [illegible]

დაგვარგე ქუთაისის [illegible] სამხედრო [illegible] სის მიერ მოცემული მოწმ[illegible] მარტიდან 1918 წ. № 999. [illegible] რიცხვიდან ზემოთაღნიშნულ[illegible] მობას გაუქმებულათ ვაცხადებ[illegible] **ნე პავლეს ძე ჯიმშეროვი** [illegible] **შერეიშვილი**).

რედაქტორი სარედაქციო [illegible] კოლ[illegible]

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.